

23/02/2024



MES 1 24 0000204310

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 14 თებერვალს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Feb 14, 2024 02:00 PM Tbilisi

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/84974841664?pwd=eXBublhEVmoweFZRa0lMTCTzY0xQdz09>

Meeting ID: 849 7484 1664

Passcode: 215028

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ კოლეჯი „მერმისი“:

ნონა ლუდუშაური - დირექტორი,

ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

თამთა ლავგილავა - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ეთერ ნადარეიშვილი - „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი:

ეკატერინე გოლიაძე - სასწავლო სატრენინგო ცენტრის უფროსი,

გიორგი ჩიჩუა - სასწავლო სატრენინგო ცენტრის უფროსის მოადგილე,

თინათინ გურამიშვილი - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრი:

გოჩა ქამადაძე - დირექტორი,

ხათუნა აბულაძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი,

გურანდა გობაძე - სასწავლო პროცესის სპეციალისტი,

ემზარ ბოლქვაძე - ა(ა)იპ კურორტ „ბეშუმის“ დირექტორი,

ზადრი აბაშიძე - ა(ა)იპ „წყალკანალის“ დირექტორი.

ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია:

თამარ ახალაძე - პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი,
მაია მიროტაძე - „დეკორატიული ბადის მოვლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი.

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“:

ნანა ჯოლია - დირექტორი,
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ელენე სამხარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ლანჩხუთის სასწავლო ფართზე.

სსიპ კოლეჯი „იბერია“:

ირაკლი ავალიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე,
ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი,
თემურ ღვინიაძე - „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,
ვარლამ მინდელი - „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,
გიორგი გიორგაძე - „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი,
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

სოფიო გოხელაშვილი,
ია გელენიძე,
ირმა ღარიბაშვილი,
ქეთევან გელაშვილი,
ალეკო მამეშვილი,
თეა მახათელაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი

უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯ „მერმისის“ „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ /01784/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01824/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრის „ლითონის ხელით შედუღება (რკალური შედუღება)“ /01853/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ /01855/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ჩაის მასპინძელი“ /01846/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობა“ /01844/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა წარმოადგინა.

შუამდგომლობა ეხებოდა „შპს MAGNIUM+ისთვის “VRF & VRV სისტემების მომსახურება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №1775404 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხს, კერძოდ, გადაწყვეტილებას მეორე პუნქტად უნდა დამატებოდა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 12 მარტი.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 28 ნოემბრის საბჭოზე შპს MAGNIUM+ს მიენიჭა უფლება “VRF & VRV სისტემების მომსახურება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების შესახებ, აღნიშნულ პროგრამას ორგანიზაცია ახორციელებდა 2021 წლის 26 მარტიდან (გადაწყვეტილება №287959), ხელმეორედ შემოიტანა განაცხადი, ვინაიდან აღნიშნულ პროგრამას 3 წლიანი ვადა ეწურება 2024 წლის 12 მარტს, აღნიშნული ასახული იქნა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის ოქმში, თუმცა არ იქნა ასახული შესაბამის გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს MAGNIUM+სთვის “VRF & VRV სისტემების მომსახურება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №1775404 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს MAGNIUM+ისთვის “VRF & VRV სისტემების მომსახურება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №1775404 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილებას მეორე პუნქტად დაემატოს:

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 12 მარტი. (დანართი 1).

2. სსიპ კოლეჯ „მერმისის“ „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ /01784/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითააცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა სოფიო გოხელაშვილმა, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 12 დეკემბრის №1694026 ოქმის სსიპ კოლეჯი “მერმისისთვის“ „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ კოლეჯმა “მერმისმა” 2023 წლის 27 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადი (ID-01784, 27.12.2023) და ასევე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში eFlow 2023 წლის 28 დეკემბერს დამატებითი წერილი №1774355;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 11 იანვრის №15822 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა - სოფიო გოხელაშვილმა შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის შედეგად ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პირველად დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზი პირველი სტანდარტის სამ ქვესტანდარტში - 1.2, 1.3 და 1.9. ასევე, გაცემული იყო სამი რეკომენდაცია 1.1, 1.6 და 2.3 ქვესტანდარტის ფარგლებში. დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი და გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.

ქვესტანდარტი 1.2 - პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების თემატიკაში, მეტად არის ყურადღება გამახვილებული ლაბორატორიულ ნაწილზე. სახელწოდებაში რამე სახით მინიშნება ლაბორატორიის წვლილზე არ ჩანს.

პროგრამის სახელწოდებაში პირდაპირ არის მითითებული, ტერმინი „საწარმოებში“, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის პრაქტიკის ობიექტების (საწარმოების) ჩართულობა სასწავლო პროცესში. საწარმო, როგორც პრაქტიკის ობიექტი ჩართული უნდა იყოს სწავლების პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის შინაარსთან.

ხარვეზი გამოსწორებულია - შეიცვალა პროგრამის სახელწოდება - „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“.

ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება, პრაქტიკის სამ ობიექტთან (შპს იფქლი დილომი, შპს რესპუბლიკა, შპს „აგროჰაბი“). თითოეულ ხელშეკრულებაში ნათლად არის წარმოდგენილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. გავრცობილია და ფორმულირება არადადამაკმაყოფილებელი. მიზანში რამდენჯერმე, სხვადასხვა ფორმულირებით არის გამოყენებული ტერმინი „საფრთხე“ და ხდება გადაფარვა.

ასევე, მიზანში მოცემულია - „შემღებენ შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით რძისა და პურ-პროდუქტების ვარგისიანობის კვლევას/შემოწმებას ლაბორატორიულად“, რაც ასევე არ არის სწორად ფორმულირებული.

შრომის უსაფრთხოების ნაწილი, არ შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას და შინაარსს და ვერც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით უზრუნველყოფენ სურსათის ვარგისიანობის კვლევას/შემოწმებას ლაბორატორიულად, რაც მიგვითითებს მიზნის არასწორ მიმართულებაზე.

ხარვეზი გამოსწორებულია - მიზანი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - “პროგრამის მიზანია მსმენელმა შეიძინოს თეორიული ცოდნა და პროფესიული უნარები, რომელიც მას რეალურად გამოადგება მომავალ საქმიანობაში. პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, საწარმოებში ჰიგიენისა (GHP) და წარმოების კარგი პრაქტიკა (GMP), საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). მსმენელები შეძლებენ რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოების ლაბორატორიის დახასიათებას, მისი მნიშვნელობის გაცნობიერებას, რძისა და პურ-პროდუქტების საშუალო სინჯის აღებას, მათ ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრას.”

ქვესტანდარტი 1.9 - კოლეჯს პროფესიული მომზადების პროგრამის მიზნების მისაღწევად აქვს სასწავლო ქიმიური ლაბორატორია, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობისათვის (AC გარემო).

პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას ითვალისწინებს, მხოლოდ სასწავლო ქიმიური ლაბორატორიის ბაზაზე და ჩართული არ ჰყავს პრაქტიკის ობიექტები (საწარმოები), რაც თავის მხრივ გამორიცხავს პროგრამის მიზნის მისაღწევად საჭირო სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას.

პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, საწარმოს მნიშვნელოვანი წილი უკავია, თუმცა კოლეჯს არ აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არცერთ რძის ან/და პურ-პროდუქტების საწარმოსთან.

ხარვეზი გამოსწორებულია - დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება სამ პრაქტიკის ობიექტთან, კერძოდ შემდეგ რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებთან: შპს იფქლი დილომი, შპს რესპუბლიკა, შპს „აგროკაბი“.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. მან დასძინა, რომ საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა, იგი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, „სურსათის უვნებლობის“ სპეციალისტის პროფესიონალ კადრებზე მოთხოვნა ბაზარზე მზარდია, რადგან ევროკავშირთან ინტეგრაციისას იზრდება მოთხოვნები ზოგადად სასურსათო პროდუქტების უვნებლობისადმი; რძისა და რძის პროდუქტების, პურ-პროდუქტების საწარმოებში წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ; ასევე რძისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებში არსებული ლაბორატორიების მიმართ, რომელთა დანიშნულებაა დაადგინონ პროდუქტების ვარგისიანობა ლაბორატორიული კვლევის გზით. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვანია, მისასაღებელია, რომ ასეთი სახის პროგრამა იარსებებს და წარმატება უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მერმისის“ „სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ /01784/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში /01784/ (დანართი 2).

3. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01824/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ია გელენიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 15 დეკემბრის №1557592 და 22 დეკემბრის №1588750 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ია გელენიძემ განახორციელეს ვიზიტი 2024 წლის 08 იანვარს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ფაქტობრივ მისამართზე თბილისში, ელ. მინდელის ქ. №7 ში, სადაც, განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაციული ოფისი, ხოლო, პროგრამის განხორციელების ადგილის, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №232 დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, რადგან ადგილზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 2.2 და 2.4. ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამის განხორციელების ადგილზე, ქ. თბილისში, მისამართზე აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №232-ში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და ადგილზე სასწავლო გარემოს შეფასება ვერ განხორციელდა, შესაბამისად სტანდარტი დარღვეულია.

ასევე, გაიცა რეკომენდაცია 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.10 - შეფასების ინსტრუმენტები წარმოდგენილია შედეგების შესაბამისად, როგორც განმსაზღვრელი ტესტური კითხვარის დოკუმენტით, ასევე, დაკვირვების ფურცლით შედეგების შესაბამისად, თუმცა არ არის კონტენტი წარმოდგენილი ამავე ინსტრუმენტში, რეკომენდებულია არსებულ ინსტრუმენტებში, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების შესაბამისად კრიტერიუმების შინაარსი და არა მხოლოდ ნუმერაცია. მაგ: შედეგი №1 და კრიტერიუმი №1,2,3, ჩაიშალოს სრულად იმ ფორმატში, რა ფორმატითაც წარმოდგენილია აღნიშნულ პროგრამაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 1 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 45, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №232.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროფესიული მომზადების პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომელიც ეფუძნება საქართველოში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროებების/შემთხვევების ზრდასა და შესაბამისი კვალიფიციური კადრის

მზარდ მოთხოვნას. შესაბამისად, პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტების მომზადება

უზრუნველყოფს პრეჰოსპიტალურ ეტაპზე დაზარალებულთა სწორი და ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პრეჰოსპიტალურ ეტაპზე ჩვენი საზოგადოების წევრთა ზიანს, ასევე შეამცირებს ჰოსპიტალურ დონეზე პაციენტთა მდგომარეობის შეუქცევადი გართულებების რისკს.

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა გასაუბრება. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და

კომპეტენციით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას.

პროგრამის ხანგრძლივობა 1 კვირაა, რომელიც მოიცავს 30 საათს, დღეში 6 საათიანი დატვირთვით. პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. ცენტრს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შპს ქიდს ველთან, შპს Geo-Medi-სთან და შპს მედ 11 -თან.

როგორც აღინიშნა, მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 9 განმახორციელებელი პირი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს

უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, როგორც აღინიშნა, დაფიქსირდა ხარვეზი ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში.

რაც შეეხება 2.4. ქვესტანდარტს, ცენტრმა პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა № 346, სადაც განსაზღვრულია ცენტრის მიერ შესასრულებელი ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები, ასევე, წარმოდგენილია ცენტრის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან, შესასრულებელი ღონისძიებებისთვის განსაზღვრული ვადების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზეც თანხმობა მიიღო ცენტრმა და გაუგრძელდა ღონისძიებების შესრულების ვადები. გასაუბრებით დადგინდა, რომ ცენტრი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ განახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხდა ქვესტანდარტის შეფასება და ამიტომ მიეთითა დასკვნაში, როგორც სტანდარტთან შეუსაბამო. ქვესტანდარტი შეფასდება 2.2. ქვესტანდარტის მოთხოვნების პარალელურად, 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ხარვეზის გამოსწორების ფორმატში.

იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, რაც დასტურდება ცენტრის თანამშრომლებთან გასაუბრებით.

რაც შეეხება 3.2 და 3.5 ქვესტანდარტს, წარმოდგენილი იქნა შესაბამისი რეგულაციები.

მესამე სტანდარტის დანარჩენი ქვესტანდარტი არ ექვემდებარება შეფასებას, გამოცდილების არარსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავისთავად პროგრამა აქტუალურია და ძალიან მნიშვნელოვანი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მან მიმართა დარგის ექსპერტს, განემარტა დასაქმების ნაწილთან დაკავშირებით თუ რას ფიქრობდა, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს პროგრამა არის საყოფაცხოვრებო პირობებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა ყველასთვის, ეს შეიძლება იყოს ტურიზმის მიმართულების ფარგლებშიც, შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს სხვა პროგრამებშიც. ცენტრს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შპს ქიდს ველთან, შპს Geo-Medi-სთან და შპს მედ-11-თან. აღნიშნულ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს მხარეებს შორის შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ცენტრი სწავლების უფლების მოპოვების შემთხვევაში, პოტენციურად დასაქმებელი პირების თანხმობის არსებობისას, ინფორმაციას მიაწვდის აღნიშნულ დაწესებულებებს, ხოლო ისინი საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვენ ინფორმაციას ცენტრის მიერ მომზადებული კადრების თაობაზე, მომავალში მათი პოტენციურად დასაქმების მიზნით, სასწრაფო დახმარების ცენტრები: ქიდს ველი, Geo-Medi და მედ-11 პრიორიტეტს მიანიჭებს იმმძღოლებს, რომლებსაც მოთხოვნილი დოკუმენტაციის გარდა თან ექნებათ პირველადი გადაუდებელი დახმარების სახელმწიფო სერტიფიკატი. მან დასძინა, რომ დასაქმების არეალი არის ფართო.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, იქიდან გამომდინარე რომ ხშირ შემთხვევაში ბევრი სფერო უკონტროლოა, მაგ. თხილამურებით სრიალი და სხვ. ეს იქნება დამატებითი უნარი, ხომ არ გამოდის ეს გამჭოლი კომპეტენცია, დარგის ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სტატისტიკის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით 2021, 2022, 2023 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა 31,592 გარდაცვალების შემთხვევა დიაგნოზით R99 (სიკვდილის სხვა დაუზუსტებელი და არაზუსტად განსაზღვრული მიზეზები) აღნიშნული სტატისტიკის შემცირება შესაძლებელია სწორედ აღნიშნული ტიპის ტრენინგის დანერგვით. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ეს არ იქნება პირდაპირი დასაქმების კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პროგრამა შესაძლებელია გამოიყენოს ასევე სხვა ორგანიზაციებმა, კომპანიებმა, რაც თავისთავად საჭიროებს რეკლამირებას, გაიგონ კომპანიებმა, რომ არსებობს ასეთი კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს (ს/კ: 205307960) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - პირველადი გადაუდებელი დახმარება /01824/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

4. ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრის „ლითონის ხელით შედუღება (რკალური შედუღება)“ /01853/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის №1768624 ბრძანების (ცვლილება №32974 -16/01/2024) საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბეჭირაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ლითონის ხელით შედუღების (რკალური შედუღება)“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 18 იანვარს, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით განახორციელეს დისტანციური ჩართვა ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 2.3 და 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.3 - პროფესიული მომზადების პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო რესურსი. სასწავლო ცენტრს დამატებით გააჩნია ისეთი სასწავლო რესურსი, რომელიც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული ისეთი თემატიკების შესასწავლად, როგორცაა - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები - BS EN ISO 5817, BS EN ISO 10042, BS EN ISO 13919-2, BS EN 12062; ბრიტანული სტანდარტი - EN 287. აღნიშნული არ არის მითითებული პროგრამის სასწავლო რესურსების ნაწილში, შესაბამისად მიზანშეწონილია, სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდეს პროფესიული მომზადების პროგრამაში იმ სასწავლო რესურსის ჩამატება, რომელიც გააჩნია საკუთრებაში ელექტრული სახით.

ქვესტანდარტი 2.4 - C გარემოში დამონტაჟებულია 10 შედუღების აპარატი. აღნიშნულ გარემოში არ არის მოწყობილი ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო ბუნებრივ ვენტილაციად განიხილება მხოლოდ გარემოში შესასვლელი კარი. ზამთრის პერიოდში ვერ განხორციელდება ბუნებრივი ვენტილაციის გამოყენება. ერთდროულად 10 შედუღების დანადგარზე მუშაობის პროცესში შედუღების ორთქლისა და გაზების გადაჭარბებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დამცავი რესპირატორები. მიზანშეწონილია C გარემო უზრუნველყოფილ იქნეს ხელოვნური (შესაძლოა გადასატანი) ვენტილაციით/ადგილობრივი გამწოვით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხულო, სოფელი ქვედა ვაშლოვანი.

ორგანიზაციას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული პარტნიორ კომპანიებთან „ა(ა)იპ - ხულოს წყალკანალთან“, „ა(ა)იპ - კურორტ ბეშუმთან“.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაში წარმოდგენილია 13 სწავლის შედეგი, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.

აპლიკანტები პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაიშვებიან დაშვების წინაპირობების შესაბამისად. კერძოდ: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასაკი-18 წელი, ჯანმრთელობის ცნობა - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13 კვირას. სწავლება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე AC გარემოში.

ონლაინ ჩართვის დროს განხორციელდა სასწავლო აუდიტორიის, კოლეჯის ბაზაზე არსებული ლაბორატორიისა და კომპანიის ბაზაზე არსებული გარემოს დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, საიდანაც დგინდება, რომ პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსი პროექტის ფარგლებში უსასყიდლოდ, სრულყოფილად გადაეცა სასწავლო ცენტრს.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დადასტურდა წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ფარავს ყველა სწავლის შედეგს, ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დასკვნით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

მესამე სტანდარტის 3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ორგანიზაციამ წარმოადგინა დოკუმენტი - „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი“ (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს №01-006 ბრძანებით). აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება როგორც ღია, ისე დახურული წესით. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა შეიძლება იყოს: გასაუბრება, გამოცდა (წერილობითი დავალება), საბაზისო უნარების შემოწმება, პრაქტიკული დავალება.

დარგის ექსპერტმა 3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია პროგრამებზე ხარისხის კონტროლის და ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. რისკების იდენტიფიცირების მიზნით ცენტრი იყენებს თვითშეფასების ანგარიშს, მიზნობრივი მონაცემების შეგროვებას (პერსონალზე დაკვირვება და საქმიანობის შეფასება, მსმენელთა კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა კვლევის შედეგები, ღია შეხვედრები), და მონაცემთა ანალიზი.

რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არ არსებობის გამო აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს C გარემოში დამონტაჟებული შედუღების აპარატებთან დაკავშირებით. ვინაიდან აღნიშნულ გარემოში არ არის მოწყობილი ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო ბუნებრივ ვენტილაციად განიხილება მხოლოდ გარემოში შესასვლელი კარი, როგორ უნდა უზრუნველყოს დაწესებულებამ აღნიშნულ გარემოში ვენტილაციის საკითხი, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილია C გარემო უზრუნველყოფილ იქნეს ხელოვნური (შესაძლოა გადასატანი) ვენტილაციით/ადგილობრივი გამწოვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრის

ხარისხის მართვის სპეციალისტმა ხათუნა აბულაძემ აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში აუცილებლად მოაგვარებდნენ ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრისთვის „ლითონის ხელით შედუღება (რკალური შედუღება)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ხულოს საყოფაცხოვრებო სპეციალობების სწავლების ცენტრს (ს/კ: 448056558) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ლითონის ხელით შედუღება (რკალური შედუღება) /01853/ (დანართი 3).

5. ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ /01855/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 იანვრის N40998 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მათა აბდალაძემ 2024 წლის 30 იანვარს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციაში ქ. თბილისში, სოფელი დილომი, რუსთაველის მე-4 ჩიხი №6, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა -

16 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, სოფელი დილომი, რუსთაველის მე-4 ჩიხი №6.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი ქვესტანდარტებით და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ დეკორატიულ მცენარეებზე მოთხოვნა ბოლო წლებში ძალიან გაზრდილია საქართველოში და ეს ტენდენცია მუდმივად მზარდია. ასოციაციის მიერ მოხდა ბაზრის შესწავლა. ასოციაციის წევრთა შეხვედრების დროს სწორედ ამ საკითხზე იქნა ყურადღება გამახვილებული, რომ მომზადდეს ისეთი კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას და ნაწილობრივ მაინც შეძლებს იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას. სამწუხაროდ, საქართველოში, არ ხორციელდება პროგრამა, რომელიც მოამზადებდა დეკორატიული მცენარეების მწარმოებლებს და რადგან ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა განათლების ხელშეწყობა და კვალიფიკაციის ამაღლებაა, ჩატარებული მოკვლევის და ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად ასოციაციამ გადაწყვიტა პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“.

პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება; ასაკი - 18 წელი, ჯანმრთელობის ცნობა (მსმენელი უნდა იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი, უნდა შეეძლოს სხვადასხვა ტემპერატურულ დიაპაზონში მუშაობა). აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 9 შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 16 კვირა, სულ 225 საათი.

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან შპს „მწვანე სახლთან“, სადაც განხორციელდება პროფესიული მომზადების პროგრამის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ პრაქტიკული კომპონენტი. პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციის პირის გამოყოფას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლების პროცესში პროგრამის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მხარდაჭერას.

დარგის ექსპერტმა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 4 პირი, დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებლების პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებელს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

პროფესიული მომზადების პროგრამისთვის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ გამოიყენება დაწესებულების A გარემო. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფილია 10 მსმენელისთვის.

დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს ელექტრონული სახით ხუთი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო

დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2022 წლის 22 სექტემბრის წერილი (და გამოკვლევის აქტი №160), სადაც გაწერილია, რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო., რაც შეეხება ხარისხის მექანიზმებს, მსმენელთა ჩარიცხვის და შეფასების წესებს, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც შეფასდა მესამე სტანდარტის შესაბამისი ქვესტანდარტები.

პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ ჰქონდა შეკითხვა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის „დეკორატიული მცენარეების წარმოება“ /01855/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციას (ს/კ: 405292311) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების წარმოება /01855/ **(დანართი 4)**.

მეექვსე საკითხის განხილვამდე საბჭოს წევრი ნინო ველთაური გავიდა საბჭოს სხდომიდან.

6. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ჩაის მასპინძელი“ /01846/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექო მამეშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 11 იანვრის №14913 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ალექო მამეშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 18 იანვარს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“, ლანჩხუთში ჟორდანias ქ. №76 სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ჩაის მასპინძელი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.9 – პარტნიორთან (შპს „არომატი 91“) დადებულ მემორანდუმში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი, ნაცვლად მე-16 კვირისა, უნდა ეწეროს მე-15 კვირა (პროგრამა 15 კვირიანია). რეკომენდებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 15 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ლანჩხუთი, ჟორდანias ქ. №76, მიმდებარე ტერიტორია.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურვილი აქვს გურიის რეგიონში, ლანჩხუთის ფილიალში განხორციელდეს პროფესიული მომზადების პროგრამა „ჩაის მასპინძელი“, შესაბამისად ჩაის დამზადების ტექნოლოგიით დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება, მიიღონ პროფესიული ცოდნა ამ სფეროში. გურიაში დღესდღეობით ბევრნაირი ჩაის წარმოებაა შესაძლებელი: შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი ჩაი, პიტნის ჩაი, მოცვის ჩაი, ვარდის ჩაი და სხვა მცენარეული ჩაი.

აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამის დანერგა/განხორციელება ხდება ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის (ADA), ცვლილებებისა და ინოვაციების ინსტიტუტის (ICI) და კოლეჯი „ჰორიზონტის“ მიერ, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის მოდერნიზაცია VET ფაზა 2“ - ფარგლებში.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 6 შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ჩაის მასპინძელი“ სწავლა შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს მოტივაცია დაეუფლოს პროფესიას და დასაქმდეს ტურიზმის სფეროში, ასევე, ისეთი სახის მომსახურების ობიექტებში, სადაც გათვალისწინებულია ჩაის თემაზე ექსპურსიის მოწყობა, გამასპინძლება და დეგუსტაცია.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მოკლე დროში ჩაის შესახებ კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლება, ასევე იმ უნარ-ჩვევების შექმნა, რაც აუცილებელია ჩაის საწარმოს მასპინძლისათვის.

დარგის ექსპერტმა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილია 4 პირი, რომელთაგანაც გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებელს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. ვიზიტის დროს მოხდა ოთხივე პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრება, მათ შორის ერთთან დისტანციურად. აღნიშნული პირებს გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

წარმოდგენილი პროგრამისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი (A) სასწავლო გარემო, და ერთი C გარემო. ასევე პარტნიორი კომპანიის პრაქტიკული გარემო. თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 15 მსმენელზე. C გარემოს მიზნებისთვის სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები 15 მსმენელისათვის. კოლეჯს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილი აქვს პარტნიორ კომპანიასთან შპს „არომატი 91“.

დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 6 სასწავლო რესურსი, მათ შორის 2 ინტერნეტ რესურსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება გასაუბრებით და ადგილზე დათვალიერებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 2 თებერვლის წერილი და შესაბამისობის აქტი №4, სადაც გაწერილია, რომ 2023 წლის 27 იანვრის №17 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დგინდება, რომ ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ ლანჩხუთის ფილიალის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ პროგრამისთვის ძალიან შთამბეჭდავი გარემო აქვს შექმნილი, რაც სასიამოვნო და მნიშვნელოვანია, თვითონ პროგრამაც ძალიან საინტერესოა. მან დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა დაწესებულების ასეთი მზაობის საფუძველზე, წარმატებულად განხორციელდება, მითუმეტეს დაწესებულებას აქვს გამოცდილება პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების.

აზრი ამ პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქვა საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა, მან განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელება და განსაკუთრებით გურიაში, მან წარმატებები უსურვა კოლეჯს.

დარგის ექსპერტმა წარმატება უსურვა კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების პროცესში და დასძინა, რომ გურიაში დღესდღეობით ბევრნაირი ჩაის წარმოებაა შესაძლებელი: შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი ჩაი, პიტნის ჩაი, მოცვის ჩაი, ვარდის ჩაი და სხვა მცენარეული ჩაი. საქართველოში ჩაის სმის, ჩაის მასპინძლობის უძველესი ტრადიცია არსებობს. ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდა ჩაის სახლები, კაფეები, საოჯახო ტიპის სასტუმრო-სარესტორნო ქსელები, სადაც მენიუმში ჩაის ცალკე განყოფილება ეთმობა და უამრავი სხვადასხვა ჩაის დაგემოვნებაა შესაძლებელი. ქართული ჩაის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ხილისა და სხვადასხვა არომატების მქონე ჩაის სახეობები, რომლებიც საკმაოდ მოთხოვნადია როგორც ჩაის სახლებში, კაფეებში, ისე მაღაზიის დახლებზე. 2019 წელს გურიაში წამოიწყო ახალი ტურისტული პროექტი „ჩაის გზა“, რომლის შედეგადაც ერთი წლის მანძილზე გურიას 2000 ტურისტი ესტუმრა. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი არის აგრარული

განათლების მქონე სპეციალისტები, სტუდენტები, ფერმერთა მომსახურების ცენტრებში მომუშავე სტაჟიორები და აგრონომები, ასევე კერძო ფერმერული მეურნეობის მფლობელები მნიშვნელოვანია ამ პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ჩაის მასპინძელი“ /01846 პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჩაის მასპინძელი /01846/ (დანართი 5).

7. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობა“ /01844/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 დეკემბრის №1701069 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა და

ცენტრის წარმომადგენელმა მათა აბდლაძემ 2024 წლის 9 იანვარს განხორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ მისამართზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, რუსთაველის ქ. №12, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ორგანული მევენახეობა-მელვინეობა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაციები 1.7 და 19 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.7 - რეკომენდებულია პირველი კვირის თემატიკაში დაზუსტდეს, რომ ფრაზაში - „ევროპული, ამერიკული და აზიური სახეობები“ ნაგულისხმევია საქართველოში დამკვიდრებული ევროპული, ამერიკული და აზიური ვაზის სახეობები/ჯიშები; პირველი კვირის თემატიკის მოცულობისა და შინაარსიდან გამომდინარე საკითხი „ვაზის მორფოლოგია, ვაზის ორგანოების ანატომია და დანიშნულება, ყურძნის მტევნისა და მარცვლის აგებულება, შემადგენელი ნივთიერებები“ გადატანილ იქნას მეორე კვირის თემატიკაში „ვაზის ანატომია და ეკოფიზიოლოგია“, რაც დააზღვევს პროგრამას საკითხის დუბლირებისაგან.

პროგრამა 1.9 - დაწესებულების სამ პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმები არის იდენტური და არ აზუსტებს რომელ პარტნიორთან, პროგრამის რა ნაწილში განხორციელდება თანამშრომლობა, სად რა პროცესები განხორციელდება. შესაბამისად, რეკომენდებულია, პარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმებში დაზუსტდეს და ნათლად იყოს წარმოდგენილი მუხლი - „თანამშრომლობის საგანი“.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი ქვესტანდარტებით და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ ჩვენს ქვეყანაში ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს ახალი საოჯახო მარნების მშენებლობა და ახალი ვენახების გაშენება, რაც ტურისტებისა და ვიზიტორების გამორჩეულმა დაინტერესებამ გამოიწვია ქართული ღვინისა და კულინარიის მიმართ. მევენახე-მელვინეობის სამივე (ზემო, შუა და ქვემო) ქვეზონის მევენახე-მელვინეებს დიდი ინტერესი გააჩნიათ მიიღონ საჭირო თეორიული განათლება და პრაქტიკული უნარები „ორგანული მევენახეობა-მელვინეობის“ მიმართულებით. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო მევენახეობა-მელვინეობაა დიდი სურვილი და ინტერესი გააჩნია თავიანთი პროფესიული დონე ამაღლონ თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებითა და მეთოდოლოგიებით.

წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია - მევენახე - მელვინედ, აგრონომად მუშაობის მინიმუმ ერთ წლიანი პრაქტიკული გამოცდილება (რაც დასტურდება საცხოვრებელი/სამეწარმეო ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტის /გამგეობის მიერ გაცემული ცნობით ან ცნობით სამუშაო ადგილიდან, რაც ადასტურებს მის დარგობრივ გამოცდილებას) ან მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომით. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 8 შედეგის მიღწევას.

პროგრამა სულ მოიცავს 78 საკონტაქტო საათს. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება, პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯის „იბერიის“ ბაღდათის ფილიალის A და C გარემოში.

დაწესებულებას პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 3 პირი, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

დაწესებულებას პროგრამის მიზნებისათვის აქვს AC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. ასევე ჰყავთ სამი პარტნიორი: ი/მ მ. ი. „მირიანის მარანი“; ი/ მ რ. თ. „მეღვინეობა ნაგუთნები“, „მძები კვირიკაშვილები“, რომლებთანაც გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაცნობით პრაქტიკასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორ კომპანიასთან ვიზიტი, კერძოდ ი/მ რ. თ., „მეღვინეობა ნაგუთნები“, სადაც დათვალიერებულ იქნა ორგანული მევენახეობა, როგორც ვენახი, ასევე მარანიც.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 10 სასწავლო (ინტერნეტ) რესურსი, მათ აქვთ მთლიანად გაციფრულებული ლიტერატურა. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო დასკვნა (N004578420), რომელიც დადებითია და ადასტურებს შენობა-ნაგებობის მდგრადობას, ტექნიკურ უსაფრთხოებას. სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში კი წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №155 (2021 წლის 28 სექტემბერი), რომლის მიხედვითაც შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ ქ. ბაღდათში კოლეჯ „იბერიის“ ფილიალის შენობის, დადებითია. ასევე, ცალკე ბრძანებით დამტკიცებული აქვთ უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქცია პროგრამასთან დაკავშირებით.

სსიპ კოლეჯი „იბერია“ არის იმერეთის რეგიონში მოქმედი, მრავალ პროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს თანამედროვე, შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ ბაღდათის ფილიალში ახორციელებენ 4 მოკლევადიან პროგრამას - მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, თმის შეჭრა და შეღებვა, მარნის მასპინძელი და მეღვინე-დეგუსტატორი, რომლებზეც ჩარიცხული მსმენელების რაოდენობაა - 58, დასაქმდა-42.

პრეზენტაციაში დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „ორგანული მევენახეობა-მეღვინეობა“ /01844/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ორგანული მევენახეობა-მელვინეობა /01844/ (დანართი 6).

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. გაბაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზაქარეიშვილი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01796	VRF&VRV სისტემების მომსახურება	მომზადება	მეოთხე	8	ქართული	20	ქ. თბილისი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ. №4გ

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01784	სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	24	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01853	ლითონის ხელით შედუღება (რკალური შედუღება)	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	30	ხულო, სოფელი ქვედა ვამლოვანი

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა ა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01855	დეკორატიული მცენარეების წარმოება	მომზადება	მეოთხე	16	ქართული	10	ქ. თბილისი, სოფელი დილომი, რუსთაველის მე-4 ჩიხი №6

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01846	ჩაის მასპინძელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	15	ქართული	15	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანია ქ. №76, მიმდებარე ტერიტორია

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა ა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01844	ორგანული მევენახეობა-მელვინეობა	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	10	ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №112